პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 8 თებერვალი, 1951 № 32 (8886). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სერიოზული გაფრთხილება მტს-ების მუშაკებს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობით (1-ლი გვერდი).
მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის (1-ლი გვერდი).
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია — პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. კოჭლამაზაშვილის მოხსენებიდან (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია (მე-2 გვერდი).
ახალი წარმატებებით ვეგებებით არჩევნებს (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს მესამე სესია (მე-4 გვერდი).

სერიოზული გაფრთხილება მტს-ების მუშაკებს

მანქანა-ტრაქტორთა სადგური წამყვანი ძალაა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მტს-ების როლი განსაკუთრებით გადიდდა ახლა, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დასმულია საბრძოლო ამოცანა — 1957 წლისათვის უზრუნველყონ საქართველო საკუთარი პურით. ჩვენი რესპუბლიკის მტს-ები აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. მტს-ები ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობით იღებენ ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა მანქანებს. წელს ახალი მტს-ები მოეწყო გორის რაიონის სოფელ ტყვიავში და თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში. კოლმეურნე გლეხობისადმი ეს დიდი დახმარება მოწმობს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავ მზრუნველობას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარებისათვის.

მტს-ების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათ მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდება, მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება, სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის ამაღლება და ამ სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულება. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მინდვრის სამუშაოებისათვის ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროულად და მაღალხარისხოვნად მომზადებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის სხვა მშრომელებთან ერთად მტს-ების მუშაკებიც ჩაებნენ და ვალდებულება იკისრეს ტრაქტორების რემონტის გეგმა შეესრულებინათ ვადამდე და კარგი ხარისხით. მთელმა რიგმა მტს-ებმა შრომის სწორად მოწესრიგებით, განსაკუთრებით კი რემონტის კვანძური მეთოდის გამოყენებით წარმატებით გაანაღდეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს თელეთის, დიღმის, ბოგდანოვკის, ყვარლის, გორის, დუშეთის, ქსუისისა და სხვა მტს-ებმა. მოწინავე მექანიზატორები საუკეთესო მუშაობის ნიმუშებს იძლევიან. მაგალითად, ცნობილმა წარჩინებულმა სიღნაღელმა ტრაქტორისტმა ელენე ნატროშვილმა სტზ-ნატის მარკის ტრაქტორი 14 დღეში შეაკეთა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 დღისა. ალაზნის მტს-ის მიხეილ ლაზარიაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის წლიური დავალება. მოწინავეთა რიგებშია თელავის მტს-ის გ. ხატიაშვილის სატრაქტორო ბრიგადა. ასეთი მაგალითი ბევრია.

მაგრამ რესპუბლიკაში საერთოდ ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1 თებერვლისათვის ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 81,5 პროცენტით. ტრაქტორების რემონტის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ საგარეჯოს, შულავრის, ქარელისა და მარნეულის მტს-ები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტიც. მთელი რიგი მტს-ები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტის ხარისხს. წნორის მტს-ში დღემდე ვერ დანერგეს ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი, სარემონტო სახელოსნოში დაბალია შრომის დისციპლინა, მიმდინარე რემონტიდან გამოშვებულ სტზ—მარკის № 6 ტრაქტორზე აღმოჩენილია 13 დეფექტი. წითელწყაროს მტს-ში კომბაინ „კომუნარ“ № 2-ზე აღმოჩენილია 20 დეფექტი. კაჭრეთის მტს-ის სახელოსნოში არ იცავენ რემონტის ტექნოლოგიას, არ ხდება ძრავების გამოცდა სიმძლავრეზე. რემონტის დაბალი ხარისხი შემჩნეულია აგრეთვე სამტრედიის, წულუკიძის, შულავრის, ალაზნისა და ბოლნისის მტს-ებში.

რით არის გამოწვეული ეს სერიოზული ნაკლოვანებანი მტს-ების მუშაობაში? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომი და რაიაღმასკომები, მტს-ების დირექტორები და მათი მოადგილეები პოლიტნაწილში ჯეროვან ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ დროზე და ხარისხიანად მოამზადონ მანქანა-ტრაქტორთა პარკი 1951 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს მტს-ებში ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის მიმდინარეობის საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მტს-ების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა განუხრელად განახორციელონ ეს დადგენილება.

რემონტის ტემპის გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარისხს. არ უნდა დავუშვათ რემონტის ტექნოლოგიის დარღვევა, მოვაწყოთ მუშაობა კვანძური მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას; არ შეიძლება შევიწყნაროთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ტრაქტორს შეკეთებულად თვლიან, ხოლო წინასწარ გულდასმით არა აქვთ შემოწმებული ყველა მექანიზმი და არ მოუხდენიათ საბაზისო დეტალების აღდგენა. პარტია და მთავრობა არ მოითმენენ წუნს მუშაობაში. წნორის მტს-ის დირექტორს ამხ. ვ. გოძიაშვილს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დაბალი ხარისხისათვის და კომბაინების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმის შეუსრულებლობისათვის საყვედური გამოეცხადა. ასევე გამოეცხადა საყვედური წითელწყაროს მტს-ის დირექტორს ამხ. ა. ბიწაძეს კომბაინების რემონტის დაბალი ხარისხისათვის და ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის მიმდინარეობაზე ზემდგომ ორგანოში არასწორი ცნობების წარდგენისათვის. აქედან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ დანარჩენი მტს-ების მუშაკებმა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია სასტიკი კონტროლი დააწესოს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების რემონტის ხარისხისადმი, ხოლო „გლავავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორამ უნდა უზრუნველყოს ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების თავის დროზე შემოზიდვა და მათი მიწოდება მტს-ებისათვის.

საკოლმეურნეო სოფელში ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნე გლეხობა გაცხოველებით ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს და საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავს. მრავალი მექანიზატორი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ გაიმარჯვოს სოციალისტურ შეჯიბრებაში და ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის გეგმის შესრულებით შეხვდეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს. ეს დიდ პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს მტს-ების დირექტორებს, მათ მოადგილეებს პოლიტიკურ ნაწილში და პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით ინიციატივას, სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ რემონტის საქმეში ჩამორჩენის გამოსწორებისა და საზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისათვის.

მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის სწრაფად და კარგად დამთავრებისათვის, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინ-სტალინის იდეების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის დარგში წარმატებითი მუშაობისა და რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დამსახურებისათვის, დაარსების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ერევნის კომიტეტის და სომხეთის სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო გაზეთი **„სოვეტაკან ჰაიასტანი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წლის 4 თებერვალი.

ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი

დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობით

რკინიგზის ქუჩა ერთ-ერთი უძველესია ლენინის რაიონში. ეს ქუჩა წინათ დიდი ისტორიული მოვლენების ცენტრი იყო. აქ არის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები.

№ 5 სახლში ცხოვრობს დიასახლისი ქეთევან თხელიძე. მის ბინაში ხშირად იკრიბებიან მეზობელი დიასახლისები მარო ბასიაშვილი, იულია ნავროზაშვილი, ნადია ფუტკარაძე და ა. სოხაძე. დიასახლისთა ხშირი სტუმარია აგიტატორი რ. მაღრაძე — სტალინის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ტექნოლოგი. მან ამ სამი წლის წინათ დაამთავრა კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი. ქარხანაში მუშაობასთან უნარიანად ათავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას.

ამ დღეებში აგიტატორი რ. მაღრაძე დიასახლის ამომრჩევლებს ესაუბრა ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. დიასახლისები, რომლებიც ლენინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველთან ერთად მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობებს გამოთქვამენ დიდი სტალინისადმი, ინტერესით უსმენენ აგიტატორის თვითეულ სიტყვას. ძველი რკინიგზელის ცოლი ქ. თხელიძე თავის სიტყვაში გამოხატავს ყველა დიასახლისის გულისთქმას:

— ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ჩვენ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება, მან შეუქმნა ჩემს შვილებს სწავლის, მეცნიერების დაუფლების ყველა პირობა. ჩემი ორივე შვილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს: ერთი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეორე კი კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აბა როგორ არ გამოვთქვა დიდი სტალინისადმი უღრმესი სიყვარულის სიტყვები, როცა იგი ასე ზრუნავს ჩვენი შვილების მომავალზე!

საუბრის დამსწრე ხუთივე დიასახლისმა ამომრჩეველმა სურვილი გამოთქვა დაათვალიეროს ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური რესტავრირებული სტამბა და თბილისის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. ამ წინადადებას აგიტატორი რ მაღრაძე სიხარულით შეხვდა და დიასახლისები ექსკურსიაზე წაიყვანა საკუთარი ავტომანქანა „პობედით“, რომელიც მან ახლახან შეიძინა...

მექანიკურ საამქროში, სადაც ტექნოლოგად ამხ. მაღრაძეა, 43 ახალგაზრდა მუშაობს. ისინი გულდასმით ეუფლებიან ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდს, სწავლობენ ჩქაროსან ხარატ ილია ჰუმბურიძის გამოცდილებას. ისინი ორთქლმავლის ცილინდრების დამუშავებაში, საზეინკლო და სხვა სამუშაოებში ფართოდ იყენებენ ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდს. არც ერთი ახალგაზრდა არ არის ისეთი, რომელიც გეგმას არ ასრულებდეს. ნაყოფიერი იყო ჩამტეხ მიხეილ სიჭინავას გუშინდელი დღე — ორთქლმავლის რესორის თერთმეტი ცალული დაამზადა გეგმით გათვალისწინებული სამის ნაცვლად. ასე მუშაობს მბურღავი ვალერიან აბესაძე, ასე მუშაობს ხარატი ვ. ვასილიევი, რომელიც ტენდერის ტაბიკებს ამზადებს. გუშინ მან რვის ნაცვლად, თვრამეტი ტაბიკი დაამზადა. ახალგაზრდა ხარატის დაზგა დგას სწორედ იმ დაზგის გვერდით, რომელზეც ნახევარი საუკუნის წინ მუშაობდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი...

№ 5 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი, რომელიც პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაშია, გადაქცეულია ამომრჩეველთა საყვარელ თავშესაყარ ადგილად. ორი დღის წინათ აქ 60-მდე ახალგაზრდა ამომრჩეველმა მოიყარა თავი. აგიტპუნქტის გამგემ ამხ. ი. ბოლქვაძემ მათ წაუკითხა მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა ამომრჩეველთა წერილი ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისადმი. ახალგაზრდებმა კმაყოფილებით მოისმინეს წერილის თვითეული სიტყვა. კრებაზე სიტყვით გამოსულმა სტალინის სახელობის ქარხნის სამგზავრო-სავაგონო საამქროს ახალგაზრდა სტახანოველმა ამხ. ი. ბლიაძემ განაცხადა:

— დღეიდან ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით შევასრულო.

ამხ. ბლიაძე ღირსეულად ასრულებს დაპირებას. ამას მოწმობს პირველი ორი დღის შედეგები. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მას როდი ჩამორჩება სამსხმელო საამქროს ახალგაზრდა მუშა ვალერიან ხომასურიძე.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო იზრდება ამომრჩეველთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. № 3 საარჩევნო უბნის 49 ამომრჩეველმა ამ დღეებში დაათვალიერა ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. საღამოს ისინი კოლექტიურად დაესწრნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლს. ამომრჩევლებს თან ახლდნენ აგიტატორები დ. ერისთავი, ლ. ბერულავა და სხვ.

საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე კვლავ მოდის წერილები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. აი ქუთაისელ ამომრჩეველთა ერთი ჯგუფის წერილი, რომელიც მიმართულია ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისადმი: „გილოცავთ დიდ ბედნიერებას, რომელიც თქვენ წილად გხვდათ — ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის, მშობლიური სტალინისათვის ხმის მიცემას“.

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქი

მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის

სულ რამდენიმე დღე აშორებს ერთმანეთს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 10 წლისთავს. ორივე თარიღი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ორივე ეს დიდი გამარჯვება ქართველმა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოში როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელთან, რომელიც წლების მანძილზე დიდი სტალინისადმი ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდა ქართველ ხალხს.

მეცნიერებისა და კულტურის აყვავების საქმეში ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ დანერგილ ტრადიციებს ყოველდღიური შეუპოვარი მუშაობით სრულყოფენ საქართველოს ბოლშევიკები. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სახალხო მეურნეობის ყველა დარგთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ეროვნული მეცნიერული კადრების გამოზრდას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მძლავრი აღმავლობით განვითარდა მეცნიერების ყველა დარგი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც 10 წლის ისტორია აქვს, ქართული საბჭოთა მეცნიერების მძლავრ კერად გადაიქცა. აკადემიის განკარგულებაშია მრავალი კარგად მოწყობილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ლაბორატორია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართველ მეცნიერთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შედიან 1 საპატიო წევრი, 39 ნამდვილი წევრი და 19 წევრი-კორესპონდენტი. აკადემიის მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვი 800-ს აღემატება. ამჟამად საქართველოში 20 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებიც ყოველწლიურად მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ათასობით სპეციალისტს უშვებენ.

მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, მიუხედავად ომიანობის სიძნელეებისა, როცა ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა და, ბუნებრივია, მოწყვეტილი იყო სწავლას, საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა 30 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს. ეს მიღწევები მოპოვებულია მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მუშაობით.

ბერიას საარჩევნო ოლქი (საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ქ. კაპანაძე) ხელოვნების მუშაკთა სახლშია მოთავსებული. ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

დიდ მუშაობას ეწევიან ამ ოლქში შემავალი საარჩევნო უბნები. განსაკუთრებით გამოირჩევა № 1 უბანი (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. სიხარულიძე, მდივანი ნ. ლაიშვილი). საარჩევნო უბანი საუკეთესოდ არის გაფორმებული. ლამაზად არის მოწყობილი ხმის მისაცემი კაბინები. შემოღებულია საუბნო კომისიის წევრთა მორიგეობა. დიდ მუშაობას ეწევა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ამხ. ნინო ლაიშვილი. იგი მეექვსეჯერ არის არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიაში. თავის მდიდარ გამოცდილებას და ენერგიას ამხ. ლაიშვილი მთლიანად ახმარს ამომრჩეველთა მიერ დაკისრებულ საპატიო საქმეს.

არჩევნების დღეებში თავი ისახელა საარჩევნო უბანთან არსებულმა აგიტპუნქტმა (ხელმძღვანელი ამხ. ა. ქოიავა). აქ სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი. ამომრჩევლები კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებში აღფრთოვანებით ლაპარაკობენ თავიანთ სახელოვან კანდიდატზე და იმ სიხარულზე, რასაც განიცდიან არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით. ბერიას საარჩევნო ოლქის ყველა დაწესებულებასა და საცხოვრებელ ბინებში ფართოდ არის გაჩაღებული საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. ოლქის 200-ზე მეტი აგიტატორი ამომრჩევლებს აცნობს საბჭოთა საარჩევნო კანონს, სტალინურ კონსტიტუციას, იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს.

დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს ოლქში შემავალ კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, მწერალთა კავშირში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, პიონერთა სასახლეში. ქართველი მწერლები და მეცნიერები ფართოდ განიხილავენ ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენებას თბილისის XX პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც მწერლებისა და მეცნიერების წინაშე ახალ პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს.

სერიოზულ მუშაობას ეწევა ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლი (დირექტორი ამხ. ბ. ბაბუციძე). აქ გულმოდგინედ ემზადებიან დიდი გამოფენისათვის „ქართული ხელოვნება 30 წლის მანძილზე“. რამდენიმე დღის წინათ ამ სახლში მოეწყო სტალინური პრემიის ლაურეატის არქიტექტორ მიმინოშვილის შემოქმედების საღამო. არქიტექტორთა სიტყვებში თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ დიდი მუშაობის გაშუქებას, რომელიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმოებს ქალაქ თბილისის არქიტექტურული გაფორმებისათვის.

თეატრალური საზოგადოება, რომელიც ამავე სახლშია მოთავსებული, სისტემატურად მართავს დისპუტებს ახალ თეატრალურ დადგმებზე. აქ ამას წინათ მოეწყო დისპუტი თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი დადგმის გამო „ეს ვარსკვლავები ჩვენია“. დისპუტზე ფართოდ იყო გაშუქებული თბილისის თეატრების შემოქმედებითი მიღწევები.

—მეცნიერებისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის! — ამ ლოზუნგით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ბერიას საარჩევნო ოლქის მშრომელები, აქ თავმოყრილი სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 2 იანვრის დადგენილებით მარცვლეული, ზეთოვანი, სასილოსე კულტურების და ბალახების ჯიშობრივ დარაიონებაში, რაც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 1950 წლის 17 მაისის ნომერში, შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1. ხსენებული ჯიშობრივი დარაიონებიდან ამოღებულია:

ა) შირაქის ველისა და სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის საშემოდგომო ხორბლის ჯიში ფერუგინეუმ 9704/2 და მზესუმზირას ჯიში კრუგლიკ 41;

ბ) საგარეჯოს და თბილისის გარეუბნის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის — მზესუმზირას ჯიში კრუგლიკ 41.

2. დამატებით დარაიონებულია:

ა) ამბროლაურის, ონის და ცაგერის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის საშემოდგომო ხორბლის ჯიშები: ადგილობრივი დოლის პური (თეთრი დოლი) და იფქლი (წითელი იფქლი);

ბ) კაჭრეთის რაიონის დაბლობი ნაწილისათვის და მისი მოსაზღვრე სიღნაღის და საგარეჯოს რაიონების დაბლობი ნაწილისათვის მზესუმზირას ჯიში ენიმკ 1646.

დანარჩენ ნაწილში გამოქვეყნებული ჯიშობრივი დარაიონება უცვლელი რჩება.

მეორე საკავშირო პრემია ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტს

ტყიბული. (საქ. კორ.). სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსაგან ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის სახელზე მიღებულია დეპეშა, რომ ამ შახტის კოლექტივს 1950 წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მეორე პრემია 65.000 მანეთის რაოდენობით.

ასეთი გამარჯვების ამბავმა შახტის კოლექტივში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. შახტის მეორე უბანმა, რომელსაც ინჟინერი დ. დობორჯგინიძე ხელმძღვანელობს, იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულება — 25 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს სულ ცოტა 2.500 ტონა ქვანახშირი. ასევე გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ შახტის სხვა უბნებზე.

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმზე აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით გრძელდებოდა განხილვა მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული შრომებისა და სახელმძღვანელოებისა, რომლებიც წარდგენილია 1950 წლისათვის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა დ. ა. დოლგუშინმა დაახასიათა ნაშრომები ბიოლოგიის დარგში. ამ ნაშრომების შესწავლამ ცხადყო, რომ საბჭოთა მეცნიერები წარმატებით ავითარებენ მიჩურინული ბიოლოგიის ახალ პრობლემებს.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. ნ. იაკოვლევმა პლენუმს მოახსენა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგში ახალი ნაშრომების შესახებ, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე მედიცინის დარგში ახალი მნიშვნელოვანი გამოკვლევების შესახებ მოახსენა კომიტეტს აკადემიკოსმა ა. ი. აბრიკოსოვმა.

დიდი მიღწევები აქვთ საბჭოთა მეცნიერებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში. ისტორიისა და ფილოსოფიაში ძვირფასი შრომების შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პ. ნ. ფედოსეევმა. ეკონომიკის დარგში ნაშრომების შესახებ ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პ. ნ. პოსპელოვმა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. კოჭლამაზაშვილის მოხსენებიდან

ამხანაგებო! საქართველოს პროფკავშირთა პირველი საკავშირთაშორისო კონფერენციიდან განვლილი პერიოდი, რომელიც 1949-1950 წლებს მოიცავს, მდიდარია მსოფლიო-ისტორიული მოვლენებით. ამ პერიოდში საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებანი მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით, განსაკუთრებული ერთსულოვნებით ჩატარდა შარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. წარმატებით მიმდინარეობს ახლა საქართველოს სს რესპუბლიკისა და აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ პირველ კანდიდატად რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდესი ენთუზიაზმით დაასახელეს საყვარელი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ უზრუნველყო ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის თვალსაჩინო გადაჭარბებით შესრულება. საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციამ შარშან 23 პროცენტით გადააჭარბა 1949 წლის პროდუქციის მოცულობას, მარცვლეულის მოსავალმა 7.600 მილიონი ფუთი შეადგინა. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია შარშან, წინა წელთან შედარებით, 11 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1940 წელთან შედარებით—52 პროცენტით, ხორბლის საერთო მოსავალი შარშან 63 პროცენტით აჭარბებდა 1940 წლის მოსავალს. წარმატებით სრულდება მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. რესპუბლიკის მრეწველობამ აითვისა მთელი რიგი ახალი სახის პროდუქციის წარმოება. ფართოდ გაჩაღდა სამრეწველო, ელექტროსადგურების, საბინაო-კომუნალური, საყოფაცხოვრებო-კულტურული და საირიგაციო სისტემების მშენებლობა. თვალსაჩინოდ გადიდდა ნაციონალური შემოსავალი, დღითიდღე მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, ახალი წარმატებანი მოიპოვა საქართველოს საბჭოთა კულტურამ.

ახორციელებდა რა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირთა პირველი კონფერენციის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროფსაბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა საწარმოო-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას. რესპუბლიკაში სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს მუშა-მოსამსახურეთა 92 პროცენტი. გაუმჯობესდა პროფკავშირების ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებისადმი. საანგარიშო პერიოდი ხასიათდებოდა სოციალისტური შეჯიბრების მრავალი ახალი ფორმით. პროფსაბჭო სისტემატურ დახმარებას უწევდა რესპუბლიკურ და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებაში წარმოების მაღალი კულტურის, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი ახალ წარმატებათა მოპოვებას. მრეწველობაში დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ წარმოებაში მაღალი კულტურის დანერგვისათვის, დაზგა-დანადგარების მოვლისა და სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობისათვის. ამ მიმართულებით საგრძნობი წარმატებანი მოიპოვეს ქარხანა „დაზგის“, კიროვის სახელობის ქარხნის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ბათუმის მომთუთიებელი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების, ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკის, 26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნების, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, მახარაძისა და თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების კოლექტივებმა. მაგრამ იგივე როდი შეიძლება ითქვას საქნავთის ტრესტის გეოლოგიური კანტორის მექანიკური სახელოსნოს, ბათუმის ფანერის ქარხნის, ბორჯომისა და სოხუმის ავეჯის ფაბრიკების, თბილისის მარგარინის ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს შესახებ.

რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გავრცელდა ა. ჩუტკიხის თაოსნობით დაწყებული შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. 5 ათასზე მეტი ბრიგადაა ჩაბმული ამ შეჯიბრებაში. მრავალი ბრიგადა სასახელოდ ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ამხანაგების ხიტურიძის, ანდღულაძის, ბარამიძის, ხარიტონაშვილისა და სხვა ბრიგადები მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. ამ ფაბრიკის კამვოლურ საამქროს წელიწადზე მეტია საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საამქროს საპატიო წოდება აქვს მოპოვებული. მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან აგრეთვე ბორჯომის შუშის ქარხნის ამხ. გოგოლაძის, კუჩეროვის, არონიშიძის და აიმაგინის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორთა ამხ. თევზაძის, ტერენტიევის, პოლოკავას და გრიგორიანის, ზეინკლების სიხარულიძის, ბაევისა და წითელაძის, მექვაბე ბუდიშჩევის ბრიგადები.

ასეთი მოწინავე ბრიგადები ასობითაა რესპუბლიკის საწარმოებში. მათმა ნაყოფიერმა მუშაობამ უზრუნველყო რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის თვალსაჩინოდ გაუმჯობესება. მაგრამ წარმატება უფრო მეტი გვექნებოდა, რომ პროფორგანიზაციები, სამინისტროები და მთავარი სამმართველოები უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

სერიოზული წარმატებანია მოპოვებული რესპუბლიკაში შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. რესპუბლიკის შალისა და აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებმა შარშან 11 თვეში სახელმწიფოს მისცეს 17,2 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება, აქედან მარტო მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ—6,1 მილიონი, ხოლო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ — 3,5 მილიონი. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ ორ წელიწადში ბრუნვიდან გაათავისუფლა 2,9 მილიონი, ხოლო კიროვის ქარხანამ მარტო შარშან—1,2 მილიონი მანეთი. ასეთივე კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი მრავალმა სხვა საწარმომ.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია. მრავალ საწარმოში და მშენებლობაზე აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმის ელემენტები. მაგალითად, სამგორწყალმშენის მე-3 კანტორის ბრიგადების უმრავლესობის შეჯიბრების ხელშეკრულებაზე ხელი არ უწერიათ შეჯიბრების მონაწილეებს, ხოლო ტყიბულშახტმშენის ტრესტის მშენებლობების ბრიგადული ხელშეკრულებები არაკონკრეტულია. ასეთივე მდგომარეობაა ზუგდიდისა და გურჯაანის აგურის ქარხნებში, თბილისმშენის ტრესტის პირველი კანტორისა და ზოგიერთ სხვა საწარმოში. ქუთაისისა და დიდუბის წისქვილქარხნებში, ნაფარეულისა და ვარციხის საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულება მხოლოდ საგეგმო დავალების შესრულებას ითვალისწინებს. ზოგიერთ საწარმოში და მშენებლობაზე ვალდებულებას იღებენ მთელი წლით, რაც არ არის სწორი, ვინაიდან საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელი ამაღლება, შრომის პირობების გაუმჯობესება შესაძლებლობას იძლევა მუშებმა წლის პირველ თვეებშივე გადააჭარბონ სოციალისტურ ვალდებულებას. ამიტომ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება აუცილებლად უნდა ფორმდებოდეს ყოველ თვე, ან ყოველ კვარტალში. პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღმოფხვრან ფორმალიზმის ელემენტები შეჯიბრებაში, გააძლიერონ აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩააბან ყველა მუშა და მოსამსახურე.

სოციალისტური შეჯიბრების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება კოლექტიური სტახანოვური მუშაობის ფართო განვითარებით. უბნები, საამქროები და მთელი საწარმოები იბრძვიან ახლა კოლექტიური სტახანოვური მუშაობის საამქროსა და საწარმოს, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საამქროსა და საწარმოს წოდებათა მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრებაში განუწყვეტლივ ვლინდებიან და იზრდებიან წარმოების ათასობით ნოვატორები, მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატები, რომლებიც მეცნიერების მუშაკებთან მჭიდრო თანამეგობრობით აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიას, შრომის ორგანიზაციას, ამდიდრებენ მეცნიერებას ახალი აღმოჩენებით. მარტო ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში 58 საპატიო მეშახტე მუშაობს. ისინი ორ-სამმაგად და უფრო მეტად ანაღდებენ გამომუშავების ნორმებს, მრავალი გაუმჯობესება შეაქვთ საწარმოო პროცესებში. თბილისის ავტოსარემონტო, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, 26 კომისრის ქარხნების, ქარხანა „დაზგის“ სახელმოხვეჭილ სტახანოველებს მუხიგულაშვილს, აგაჯანოვს, უკოლოვს, ზუბრიცკის, ჯიოშვილს, ილურიძეს, ბაისონაშვილს, ჰუმბურიძეს, კორძაძეს, ორლოვს, ზახაროვს სისტემატურად შეაქვთ გაუმჯობესებანი საწარმოო პროცესებში, სამ-ოთხმაგად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. მოწყობილობის ტექნიკური მოცდენის შესამცირებლად თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მე-3 სამკერვალო საამქროს უფროსი მექანიკოსის ამხ. ა. ნიკოლეიშვილის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა შარშან მარტო 7 თვეში მექანიზმების მოცდენა ლიმიტით გათვალისწინებული 300 საათის ნაცვლად 10,5 მანქანა-საათამდე შეამცირა.

საანგარიშო პერიოდში ერთგვარი მუშაობაა გაწეული წარმოების ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების პოპულარიზაცია - გავრცელებისათვის.

1949 წლის ოქტომბერში პროფსაბჭომ მოაწყო მსუბუქი მრეწველობის სტახანოველთა, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კამვოლის საამქროს მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. 1950 წლის სექტემბერში პროფსაბჭომ მოიწვია თბილისის საქალაქო თათბირი ლითონის ჩქარი დამუშავების გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად. თათბირმა მოისმინა ჩქაროსანი ხარატების ამხ. ჰუმბურიძის, ზუბრიცკისა და ორლოვის მოხსენებები ლითონის ჩქარი დამუშავების თავიანთი მეთოდების შესახებ. შარშან დეკემბერში პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ქარხანა „დაზგის“ მუშაობის საკითხი და შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ქარხნისათვის სტახანოვური საწარმოსა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ქარხნის წოდების მინიჭების შესახებ. გარდა ამისა, მთელი რიგი რესპუბლიკური კომიტეტები რეგულარულად აწყობდნენ წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. ნოვატორული შრომის გავრცელებაში დიდი დახმარება გაგვიწია ინჟინერ კოვალიოვის პატრიოტულმა ინიციატივამ. მოწინავეთა გამოცდილების მასობრივი გავრცელება და წარმოებაში მათი შემდგომი ფართოდ დანერგვა პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა.

შემდეგ ამხ. კოჭლამაზაშვილი ეხება საწარმოო თათბირების, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხებს და ამბობს, რომ საანგარიშო პერიოდში მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში და მშენებლობებზე მოწვეული იყო 125.500 საწარმოო თათბირი. ამ თათბირებზე დამუშავდა მრავალი ათეული ათასი წინადადება, მიმართული საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისაკენ. ამ წინადადებათა დიდი ნაწილი განხორციელებულია. საწარმოო თათბირებმა სერიოზულად შეუწყეს ხელი წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას, წარმოებაში ნაკადური მეთოდების დანერგვას, ლითონის ჩქარ დამუშავებას, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებას, კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების მაღალხარისხოვნად შესრულებას. მიუხედავად ამისა, ცალკეულ საწარმოებში საწარმოო თათბირები ორი წლის განმავლობაში არ მოუწვევიათ, ხოლო ზოგან საწარმოო თათბირებს არარეგულარულად იწვევენ. ზოგჯერ თათბირები ზოგად, არაკონკრეტულ გადაწყვეტილებებს იღებენ. პროფესიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირებისადმი, მასობრივი რაციონალიზაციისა და გამომგონებლობისადმი.

ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში, — ამბობს მომხსენებელი, — თვალსაჩინო როლი ითამაშეს კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა, რომლებმაც ხელი შეუწყეს აგრეთვე მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო აქტივობის ზრდას. პროფსაბჭო სისტემატურად ამოწმებდა ხელშეკრულებათა შესრულებას, ავლენდა ნაკლოვანებებს ამ საქმეში. საანგარიშო პერიოდში პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 19-ჯერ განიხილა ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხი. კოლექტიური ხელშეკრულებები შარშან გაცილებით უკეთ შესრულდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ორმხრივ ვალდებულებებს. პროფსაბჭოსა და რესპუბლიკური კომიტეტების მოვალეობაა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და მათში გათვალისწინებული ვალდებულებების აუცილებელი შესრულებისათვის.

შეეხო რა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხს, მომხსენებელი შეჩერდა ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებზე. ფასების სისტემატურად შემცირებამ უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში კეთილმოწყობილი ბინები მიიღო ათასობით მუშამ და მოსამსახურემ. ფართოდ იყო აგრეთვე გაჩაღებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ვერ ასრულებენ საბინაო მშენებლობის გეგმებს. პროფესიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უსათუოდ უნდა მიაღწიონ საბინაო მშენებლობის გეგმების მთლიანად შესრულებას.

რესპუბლიკის პროფორგანიზაციები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან სავაჭრო ორგანიზაციებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის საზოგადოებრივი კონტროლიორებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშათა მომარაგების კომისიების წევრთა მეშვეობით. ბევრმა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტმა მიაღწია მაღაზიებსა და სასადილოებზე საზოგადოებრივი კონტროლის ქმედით განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია, რომელთა გამოსწორებას პროფსაბჭომ და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სოციალური დაზღვევის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, პროფორგანიზაციების განკარგულებაში არსებული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობას და დაწვრილებით გააშუქა ამ მიმართულებით რესპუბლიკის პროფორგანიზაციების მიერ გაწეული საქმიანობა.

გადავიდა რა მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეში პროფორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობაზე, მომხსენებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 151 პროფკავშირული კლუბი, 1.056 წითელი კუთხე, 123 ბიბლიოთეკა. წიგნის ფონდი აღწევდა 724 ათასს. კულტმასობრივი ღონისძიებებისათვის ასიგნებული თანხა მარტო შარშან 15,7 მილიონ მანეთს შეადგენდა. წაკითხულ იქნა 57 ათასი ლექცია, რომლებსაც 3,5 მილიონი კაცი დაესწრო. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის ოთხ პროფკავშირულ ფილიალში ბოლშევიკური პარტიის თეორიასა და ისტორიას ეუფლება 1.246 კაცი. ორ წელიწადში ეს უნივერსიტეტი დაამთავრა 716 კაცმა. თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად. მომზადებული და გადამზადებულია 50 ათასამდე მუშა. ტექნიკურ პროპაგანდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროფკავშირული კლუბების ტექნიკური კაბინეტები. მიუხედავად ამისა, ყველა საწარმომ, ტრესტმა და კომბინატმა როდი შეასრულა მუშათა კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმა.

საქართველოს პროფორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ბავშვთა სკოლისგარეშე კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნისტური აღზრდისათვის. საანგარიშო პერიოდში პროფკავშირთა პიონერბანაკებში საზაფხულო არდადეგების დროს გაიგზავნა 56 ათასი მოსწავლე. ათეულ ათასობით ბავშვისათვის გაიმართა საახალწლო ნაძვის ხე.

პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებებთან მხატვრული თვითმოქმედების თითქმის ორი ათასამდე წრეა. ამ წრეებში გაერთიანებულია 29.400 კაცი. ბევრი მათგანი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაცია უპასუხისმგებლოდ ეპყრობა მუშათა კულტურული მომსახურების საქმეს. 26 კომისრის სახელობის ქარხნის კლუბს წელიწადნახევარია რემონტს უკეთებენ. რესპუბლიკის პირველი საავადმყოფოს, თბილისის პირველი საკონდიტრო ფაბრიკის, თამბაქოს პირველი ფაბრიკის და ლიმონათის ქარხნის წითელი კუთხეები ქაოსურ მდგომარეობაშია და მათში არავითარი კულტურულ-მასობრივი მუშაობა არ წარმოებს. ზოგიერთ საწარმოს დღემდე არა აქვს არც კლუბი, არც წითელი კუთხე, ხოლო ზოგან წითელ კუთხეებს სამეურნეო მიზნით იყენებენ, რაც დაუშვებელია.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში პროფორგანიზაციების მიერ გაწეულ საქმიანობას, პროფკავშირების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, ძირეული და რესპუბლიკური ორგანიზაციების არჩევნების შედეგებს, საწევრო ანარიცხების შეგროვების გეგმის შესრულებას, პროფკავშირის წევრთა საერთო კრებების მოწვევას, პროფკავშირული კადრების მომზადებას, მიუთითა ამ მიმართულებით მოპოვებულ წარმატებებსა და არსებულ ნაკლოვანებებზე.

რესპუბლიკის პროფორგანიზაციები, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — მთელ თავიანთ მუშაობას ეწევიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, აღზრდილნი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. ბერიას მიერ, მუდმივ დახმარებას უწევდნენ პროფესიულ ორგანიზაციებს.

პროფსაბჭოს ახალმა შემადგენლობამ, რომელსაც ეს კონფერენცია აირჩევს, უნდა გააუმჯობესოს პროფორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, უკეთ მოაწყოს პროფკავშირული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ახლოვდება ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღი — საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავი. ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს რესპუბლიკის მშრომელები ხვდებიან ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დადგენილებათა შესრულებისათვის მასების მობილიზაციით რესპუბლიკის პროფკავშირები შეძლებენ სასახელოდ განახორციელონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, უფრო გააძლიერებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, აამაღლებენ თავიანთი მუშაობის დონეს, მთელ თავიანთ მოღვაწეობას წარმართავენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. შ. ლ. ჭანკოტაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სოხუმის რაიონის გუმისთის № 314 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. შალვა ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს უფროსი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1902 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. რ. კ. ბოხუას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გუდაუთის რაიონის ბარმიშის № 315 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. რაჟდენ კონდრატეს-ძე ბოხუა, საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1916 წელს დაბადებული, ქალაქ გუდაუთის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ლ. კ. შამბას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გუდაუთის რაიონის ლიხნის № 316 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ლუბა კუჭას ასული შამბა, გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუქის კოლმეურნეობა „ალაშარის“ წევრი, საკავშირო ალკკ წევრი, 1925 წელს დაბადებული, სოფელ აბგარხუქის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. მ. კ. არძინბას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გუდაუთის № 317 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მარიამ კუკუნის ასული არძინბა, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1923 წელს დაბადებული, სოფელ დურიფშის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ვ. ნ. ხარაზიას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გუდაუთის რაიონის ახალი ათონის № 318 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვერა ნიკოლოზის ასული ხარაზია, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1896 წელს დაბადებული, ქალაქ სოხუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ა. ზ. ბერიას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაგრის რაიონის ალახაძის № 319 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. აკაკი ზოსიმეს-ძე ბერია, საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1914 წელს დაბადებული, ქალაქ გაგრის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. გ. ნ. ჯალიაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაგრის № 320 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. გუგული ნიკოლოზის ასული ჯალიაშვილი, გაგრის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების ექიმი-სტომატოლოგი, უპარტიო, 1923 წელს დაბადებული, ქალაქ გაგრის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. შ. დ. გეთიას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაგრის რაიონის განთიადის № 321 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. შოთა დიმიტრის-ძე გეთია, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, ქალაქ სოხუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ა. ტ. ცატუროვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაგრის რაიონის ნაკადულის № 322 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ალექსანდრე ტიგრანის-ძე ცატუროვი, მშენებლობის უფროსი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1902 წელს დაბადებული, ქალაქ სოხუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ნ. ი. ნიჟარაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ლენინის № 323 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნიკოლოზ ისმაილის-ძე ნიჟარაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1907 წელს დაბადებული, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ფ. დ. დუმბაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის სტალინის № 324 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ფატუშა დურსუნის ასული დუმბაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1913 წელს დაბადებული, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. შ. ო. წერეთლის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ბერიას № 325 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. შალვა ოთარის-ძე წერეთელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1894 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ვ. მ. ყურაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის გორკის № 326 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვახტანგ მიხეილის-ძე ყურაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1915 წელს დაბადებული, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. შ. დ. ვადაჭკორიას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ჯაფარიძის № 327 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. შალვა დიანოსის-ძე ვადაჭკორია, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1898 წელს დაბადებული, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ნ. ა. რომანოვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ფრუნზეს № 328 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე რომანოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1906 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ნ. მ. ჯინჭარაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ქარხნის № 329 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნუნუ მამედის ასული ჯინჭარაძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის უმცროსი მეცნიერი მუშაკი, საკავშირო ალკკ წევრი, 1924 წელს დაბადებული, ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის მცხოვრები.

ახალი წარმატებებით ვეგებებით არჩევნებს

მოახლოვდა 18 თებერვალი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე. ქუთაისელი მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის. დღითიდღე იზრდება მშრომელთა ენთუზიაზმი. საწარმოს ნოვატორები, სტახანოველი მუშები ახალი წარმატებებით აღნიშნავენ არჩევნებისათვის მზადების დღეებს. მეაბრეშუმეები, მეკონსერვეები, მქსოველები, მშენებლები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას — 18 თებერვალი აღნიშნონ ორი თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით.

ქალაქად შექმნილ საარჩევნო უბნებში 300-მდე აგიტატორი, საბჭოთა აქტივისტების მრავალრიცხოვანი არმია ეწევა ნაყოფიერ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

ხალხის წარმომადგენლები — საარჩევნო კომისიის წევრები თვალყურს ადევნებენ საარჩევნო კანონის განუხრელად დაცვას, თვითეული ამომრჩევლისათვის უზრუნველყოფენ თავისი მოქალაქეობრივი უფლების განხორციელებას.

წარმატებით ჩატარდა არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადების ისეთი პასუხსაგები ეტაპი, როგორიცაა ამომრჩეველთა სიების შედგენა და მათი გამოკვრა საარჩევნო უბნებში საყოველთაო გაცნობისათვის. თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა საარჩევნო კომისიებისა და აგიტპუნქტების სამუშაო ოთახების გაფორმებას, მათს უზრუნველყოფას განათებით, რადიოთი, ტელეფონით და სხვ.

ქუთაისის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ პირველ კანდიდატად უდიდესი სიყვარულით და აღფრთოვანებით დაასახელეს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელნი აღტაცებით ლაპარაკობდნენ იმ ადამიანზე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს უმაგალითო განვითარება და აყვავება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა.

ქალაქის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სიხარულით დაასახელეს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი.

ჩვენი ქალაქის მშრომელები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ერთსულოვნად მისცემენ ხმას საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რითაც ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური სტალინისადმი.

ქუთაისის მრეწველობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში, 1946 წლიდან 1950 წლამდე ჩათვლით, ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა საგეგმო დავალებებს. 1950 წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში შესრულებულია 107,2 პროცენტით. განვლილ ხუთწლედში ქალაქის მრეწველობას ახასიათებდა პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპი.

ქალაქის სამრეწველო განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ქუთაისის საქალაქო მეურნეობას. თანმიმდევრულად ხორციელდება ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. უმჯობესდება მშრომელთა კომუნალური მომსახურება, მათი შრომისა და ცხოვრების პირობები. ახლა ქალაქის ყველა უბანს ამშვენებს გაგანიერებული, კეთილმოწყობილი ქუჩები, ტროტუარები და მოედნები, სკვერები, ბაღები, მონუმენტები, არქიტექტურულად გაფორმებულ შენობათა კორპუსები, ელექტროლამპიონები და სხვ.

1948 წელს დასრულდა სტალინის სახელობის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია. მისი ფართობი 10.000 კვადრატული მეტრია. მოედნის ცენტრში აღმართულია ეკლარის ქვისგან გამოქანდაკებული დიდი სტალინის მონუმენტი. მოედანზე მოეწყო კოლონადა, რითაც გაფორმდა ქალაქის ბაღის შესასვლელი.

1949 წელს დასრულდა რკინიგზის № 1 სადგურის წინა მოედნის რეკონსტრუქციის პირველი რიგის სამუშაოები და მოეწყო ზედა მოასფალტებული მოედანი, გაფორმდა მის გარშემო მდებარე შენობები. სადგურის რეკონსტრუირებული მოედანი ტერასებად ეშვება დაბლა წერეთლის ქუჩისაკენ და განიერი ეკლარის ქვის საფეხურებიანი კიბეებით უერთდება მეოთხე ხიდისაკენ გამავალ ახლად მოწყობილ სწორ ქუჩას.

საქალაქო მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ობიექტები იყო აგრეთვე ახლად მოწყობილი სამაგისტრალო სწორი ქუჩები ზდანოვიჩის ქუჩიდან სადგურ № 2-ის გასწვრივ და ნინოშვილის ქუჩიდან ახალ სტადიონამდე. ორივე ამ ქუჩით გაიხსნა მოძრაობა ქალაქის მთავარი ქუჩებისაკენ. განხორციელდა მრავალი ქუჩისა და ტროტუარის მოასფალტება და მოკირწყვლა.

დიდად გაუმჯობესდა ქალაქის მომარაგება წყლით. ქუთაისისათვის თვალსაჩინო მოვლენა იყო საქალაქო ტრანსპორტის ახალი სახე — ტროლეიბუსი. ტროლეიბუსის მოძრაობა (პირველი რიგი) ჩვენს ქალაქში 1949 წლის 11 სექტემბერს დაიწყო. ამჟამად ეს მოძრაობა ორგანიზებულია 14 კილომეტრის ერთმაგ სიგრძეზე. მგზავრთა გადაყვანისათვის მუშაობს ტროლეიბუსის 14 მანქანა. მათ ყოველდღიურად გადაჰყავთ 20.000-ზე მეტი მგზავრი.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის გაღებულმა ხარჯებმა ხუთწლედის განმავლობაში, საოპერაციო და საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების ხარჯების ჩათვლით 37.400 ათასი მანეთი შეადგინა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდებოდა და ხორციელდება კომუნალურ საწარმოთა მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის და იმისათვის, რომ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება კომუნალურ მომსახურებაზე (წყალი, განათება, აბანო, სამრეცხაო, კანალიზაცია, დასუფთავება და სხვ.) მაქსიმალური შესაძლებლობით დაკმაყოფილდეს.

ქუთაისში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სამრეწველო, საბინაო და კომუნალური მშენებლობა. ამჟამად სერიოზულ სამშენებლო ობიექტებად ითვლება ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სტალინის ქუჩაზე „ავტოტრანსის" წინ და სტალინის სახელობის ცენტრალურ მოედანზე. ორივეს აგებს მანქანათმშენებელი ქარხანა. წერეთლის ახალ გზაზე შენდება სამი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან ერთს აშენებს ქალაქის საბჭოს აღმასკომი, თითოს კი საქართველოს ბარიტის საწარმო და აბრეშუმის კომბინატი. აღნიშნული სახლები დიდად გაზრდიან საბინაო ფონდს და ამავე დროს დაამშვენებენ ქალაქს.

დიდმნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტია დრამატული თეატრის შენობა სტალინის სახელობის ცენტრალურ მოედანზე. ეს შენობა ქალაქში ულამაზესი იქნება. ორჯონიკიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ფიზკულტურის სტადიონის მშენებლობა ფიზკულტურულ კომპლექსურ ღონისძიებათა განსახორციელებელი სათავსებით.

1950 წლის ნოემბერში საფუძველი ჩაეყარა აგურის მექანიზებული ქარხნის მშენებლობას, რომლის საპროექტო წარმადობა წლიურად ხუთი მილიონი აგურით განისაზღვრება.

ქალაქის რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად დაწყებულია სტუდენტთა ქალაქის მშენებლობა ბაღდათის გზატკეცილზე. უკვე აგებულ სასწავლო კორპუსებთან ერთად მშენებლობის პროცესში მყოფი სამთო და სატყეო ტექნიკუმების საწარმოო და საცხოვრებელი შენობები ქმნიან შესანიშნავ დასახლებულ პუნქტს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საიდანაც გადაიშლება მუხნარის ცნობილი აგარაკი.

მნიშვნელოვანი ობიექტია შუშის ტარის საწარმოო და საბინაო კორპუსების მშენებლობა, რომლებიც ლუდის ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკისა და ხორცკომბინატის ახალ შენობებთან ერთად საფუძველს უყრიან კვების მრეწველობის ზონის გაფორმებას წულუკიძის ქუჩაზე, ქალაქის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა ქალაქის საბინაო ფონდი. არსებულ საბინაო ფონდს შეემატა 18.472 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, რამაც დიდად გააუმჯობესა მოსახლეობის საბინაო პირობები. გარდა ამისა, 1950 წელს აშენდა მუშა-მოსამსახურეთა 100-მდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და მშენებლობის დასრულების პროცესშია 170-მდე სახლი.

ქალაქად ამჟამად განათლების სამინისტროს ხაზით მოქმედებს რამდენიმე ათეული სკოლა, სადაც 15.000-მდე მოსწავლეა. არის 30 საბავშვო ბაღი 300 აღმზრდელით და 3.000 აღსაზრდელით, ბავშვთა სახლი, პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური და სასპორტო სკოლა. ამ სკოლებსა და სასკოლო დაწესებულებებში მუშაობს 1.000-მდე პედაგოგი, რომელთა შორის 34 საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელია. პედაგოგიურ ასპარეზზე დამსახურებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის 266 მასწავლებელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ტექნიკუმებში 8.500-მდე ახალგაზრდა მეცადინეობს. ამ სასწავლებლებში მუშაობს 138 მეცნიერი მუშაკი და 300 პედაგოგი.

ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება ათობით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, სადაც მუშაობს ასობით ექიმი და საშუალო სამედიცინო მუშაკი.

მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის დონის ამაღლების საქმეს ემსახურებიან კულტურის სახლი, საქალაქო კლუბები, სამკითხველოები.

ქუთაისში არსებობს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მუზეუმში წარმოდგენილია ქართველი ხალხის გმირული წარსულის ამსახველი მეტად ძვირფასი და ღირსშესანიშნავი მრავალი დოკუმენტი და ექსპონატი. მუზეუმის თანამშრომლები ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

ჩვენს ქალაქში არსებობს ხელოვნების მნიშვნელოვანი დაწესებულებები: ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თოჯინების თეატრი, მუსიკალური სასწავლებელი, საქართველოს ფილარმონიის ქუთაისის განყოფილება, საზაფხულო თეატრი და მუსიკალური ბიურო, კინოთეატრები, მომღერალთა აკადემიური გუნდი, მოცეკვავეთა ანსამბლი და სხვები, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში.

ქუთაისში არსებობს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი რამდენიმე მნიშვნელოვანი დაწესებულება, ისინი სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს წყვეტენ. მაგალითად, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევმა სადგურმა შექმნა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გამძლე ჰიბრიდები. ამავე სადგურმა გამოიყვანა უხვმოსავლიანი თუთის ახალი ჯიში „ქუთათური", რომლის ავტორები არიან მეცნიერი მუშაკები ა. მარჯანიშვილი და ა. დიდიძე.

ქუთაისის მშრომელები ერთსულოვნად მუშაობენ თავიანთი ქალაქის შემდგომი აყვავებისათვის, ახალ-ახალი შრომითი საქმეებით უპასუხებენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი ქალაქის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის. ქუთაისი სწრაფად შენდება და ლამაზდება. დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული ქალაქის სამრეწველო, კულტურული და კომუნალური საბინაო მშენებლობის დარგებში. ქ. ქუთაისის მშრომელები წარმატებით განახორციელებენ ამ ამოცანებს. ამის თავდებია ის დიდი ყურადღება და დახმარება, რასაც ჩვენს ქალაქს უწევენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

გ. ლომიძე

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

კარგად მოვაწყოთ საარჩევნო უბნის ცენტრები, დავაზუსტოთ ამომრჩეველთა სიები

მოუწყობელია თბილისის 26 კომისრის რაიონის ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქის № 3 საარჩევნო უბნის ცენტრი. აქ არ არის ტელეფონი და სხვა საჭირო მოწყობილობა. საარჩევნო სიები უსუფთაოდ არის დაწერილი, შიგ შეცდომებია. კვირას, 4 თებერვალს, აქ მაგიდაზე უპასუხოდ ეყარა 22 ამომრჩევლის განცხადება.

ამავე უბნის აგიტპუნქტში მორიგე აგიტატორი არ იყო. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ამხ. ქ. შაქარაშვილმა განაცხადა, აგიტატორი დღის ოთხ საათზე გამოივლისო. საარჩევნო ლიტერატურა წითელი კუთხის გამგის ამხ. დანელიანის მაგიდაში აღმოჩნდა ჩაკეტილი.

ასევე მოუწყობელია შაუმიანის საარჩევნო ოლქის № 4 საარჩევნო უბნის ცენტრი (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. ვართანოვა). ამომრჩეველი ვერ გაარკვევს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს. სწორედ ამიტომ დღის პირველ საათზე იქ ერთი ამომრჩეველიც არ იყო მისული.

რაღა შეიძლება ითქვას აგიტპუნქტის (გამგე ამხ. არუშანოვი) მუშაობაზე, როცა ის კვირას, დღის ორ საათზეც დაკეტილი იყო.

მოლოტოვის რაიონის ტოლსტოის საარჩევნო ოლქის № 3 საარჩევნო უბანში წყალსაწევის ქ. № 3 სახლის 36 მცხოვრები შეტანილი არ იყო საარჩევნო სიაში.

აღნიშნული საარჩევნო ოლქის № 2 საარჩევნო უბანში (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ზიმბლიცკი) ამომრჩეველმა ს. ქორიძემ (ტოლსტოის ქ. № 2) საარჩევნო სიაში თავისი გვარი ვერ ნახა. საარჩევნო სიაში 1.110 ნომერზე წერია: ქავთარაძე ოლიმპია ანტონის ასული; უნდა იყოს: ქვათაძე ოლიმპია ანტონის ასული.

ამ საარჩევნო უბანთან არსებულ აგიტპუნქტში დღის 3 საათზე მრავალი ამომრჩეველი იყო მოსული, ხოლო მორიგე აგიტატორი არ ჩანდა.

საარჩევნო სიებში არის დამახინჯებანი აგრეთვე ვოროშილოვის საარჩევნო ოლქის № 4 საარჩევნო უბანში (ლენინის რაიონი).

სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ, რომ საგიტაციო-მასობრივ მუშაობასთან ერთად არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ა. გოცირიძე

საბჭოთა მთავრობის ნოტები

პასუხად საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა ნოტებისა გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის შესახებ

ამა წლის 23 იანვარს საფრანგეთის ელჩმა ბ-ნმა შათენომ, ამერიკის შეერთებული შტატების დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ბარბურმა და დიდი ბრიტანეთის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ნიკოლსმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ვიშინსკის გადასცეს საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა ანალოგიური ნოტები პასუხად საბჭოთა მთავრობის 1950 წლის 30 დეკემბრის ნოტებისა, გერმანიის დემილიტარიზაციის თაობაზე პოტსდამის შეთანხმების შესრულების საკითხის განსახილველად სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის შესახებ.

ამა წლის 5 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი შათენო, ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ბარბური და დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ნიკოლსი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტები.

ქვემოთ ქვეყნდება საფრანგეთის მთავრობის 1951 წლის 23 იანვრის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 5 თებერვლის საპასუხო ნოტის ტექსტი.

საფრანგეთის მთავრობის 1951 წლის 23 იანვრის ნოტა

„საფრანგეთის საელჩოს პატივი აქვს დაადასტუროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1950 წლის 30 დეკემბრის ნოტის მიღება და თავისი მთავრობის დავალებით აცნობებს მას შემდეგ პასუხს.

[illegible]

საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 5 თებერვლის ნოტა

[illegible]

2. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმას, რაც უკანასკნელ თვეებში ყველას თვალწინ ხდება. თუ სამი სახელმწიფოს მინისტრების ნიუ-იორკის თათბირმა მხოლოდ აღძრა გერმანიის შეიარაღებული ძალების აღორძინებისა და დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მრეწველობის აღდგენის საკითხი, მას შემდეგ უკვე ბევრი რამით გამომჟღავნდა სამი სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილების ნამდვილი მნიშვნელობა. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ, ერთი მხრივ, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებსა და, მეორე მხრივ, ბონის ადენაუერის მთავ-[illegible] ამა თუ იმ საბაბით, სულ უფრო ქიაჩურდება, ხოლო ამასთან ერთად არათუ არ ახორციელებენ გერმანიის დემილიტარიზაციას, არამედ, პირიქით, იღებენ ღონისძიებებს დასავლეთ გერმანიაში გერმანელთა რეგულარული არმიისა და სამხედრო მრეწველობის აღსადგენად, აგრეთვე სხვა მრავალ ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია ახალი ომის დაჩქარებული მზადებისაკენ. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, ცხადია, დაყენებულ იქნება მომხდარი ფაქტების წინაშე. საბჭოთა მთავრობამ უკვე ცხადყო თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მომხდარი ფაქტების ასეთი პოლიტიკის მიმართ. შესაძლოა ასეთი პოლიტიკა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ აგრესიულ-[illegible] საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა წინასწარი თათბირი უნდა შემოიფარგლოს დღის წესრიგის შემუშავებით, მათ შორის საკითხთა განხილვის რიგითობის დაწესებით. ამრიგად, წინასწარი თათბირის ამოცანა არ უნდა იყოს დღის წესრიგში შეტანილი საკითხების არსებითად განხილვა.

5. საბჭოთა მთავრობას საწინააღმდეგო არა აქვს რა, რომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა წინასწარი თათბირი მოწვეულ იქნას პარიზში".

ანალოგიური ნოტები ერთდროულად გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წლიურ კონფერენციაზე ლონდონში

ლონდონი, 4 თებერვალი. (საკდეს). გუშინ ლონდონში გაიხსნა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წლიური კონფერენცია. კონფერენციას ესწრება საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების, აგრეთვე პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების რამდენიმე ასეული დელეგატი და მეთვალყურე.

გახსნა რა კონფერენცია, საზოგადოების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ პლეტს-მილსმა აღნიშნა ის საფრთხე, რასაც საყოველთაო მშვიდობას უქმნის ამერიკის აგრესიული იმპერიალიზმი. მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში, თქვა მან, შეუძლებელია მანამდე, სანამ შეერთებული შტატები ადგანან ახლანდელ დამღუპველ კურსს.

კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა მისალმება საზოგადოების პრეზიდენტის, კენტერბერის ტაძრის წინამძღვრის ჰიულეტ ჯონსონისაგან, რომელიც კონფერენციას ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო, აგრეთვე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ დენისოვისაგან.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა კავშირის ლონდონის საელჩოს მრჩეველი ეროფეევი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა უილიამ უეინრაიტმა კონფერენციას წარუდგინა საზოგადოების 1950 წლის ანგარიში და კონფერენციის დასამტკიცებლად შეიტანა დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განმტკიცების გეგმას. ანგარიში და გეგმა კონფერენციამ მხურვალედ მოიწონა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა განაახლა განხილვა საბჭოთა კავშირის საჩივრისა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის შესახებ.

სხდომის დასაწყისში კომიტეტის თავმჯდომარემ ურდანეტამ გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის საპროტესტო დეპეშა შეერთებული შტატების მანევრის წინააღმდეგ, რის შედეგად პოლიტიკურმა კომიტეტმა დღის წესრიგის ამ პუნქტის განხილვა განაახლა მოულოდნელად, ისე, რომ ჩინეთის წარმომადგენელს არ მისცა დრო ჩამოსულიყო ნიუ-იორკს და მონაწილეობა მიეღო განხილვაში. ჯოუ ენ-ლაი თავის დეპეშაში მოითხოვს, რომ მისი დეპეშა და განცხადება ჩინეთის წარმომადგენლის უ სიუციუანისა, რომელსაც არ შეეძლო გამოსულიყო კომიტეტში, წაკითხულ იქნას ახლა პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, აგრეთვე გავრცელ-...

ა) ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ კორეა-მანჯურიის საზღვრის რაიონში ჩინეთის საჰაერო საზღვრების დარღვევისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვისა და ტყვიამფრქვევის დაშენის თაობაზე, რამაც გამოიწვია ადამიანთა დაღუპვა და მატერიალური ზარალი მიაყენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას;

ბ) ამერიკის სამხედრო ხომალდის მიერ ჩინეთის საჰაერო გემისათვის სროლის ატეხის, დაკავებისა და გასინჯვის თაობაზე. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ გენერალური ასამბლეა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამ უკანონო მოქმედებას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას ამ მოქმედებისათვის, ამ მოქმედების შედეგად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი მიყენებული ზარალისათვის და ყოველგვარი შედეგისათვის, რომელიც შეიძლება ამას მოჰყვეს. რეზოლუცია აგრეთვე რჩევას იძლევა, რომ უშიშროების საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 ...

...

პატიმრის საქმეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მათთვის წაყენებული ბრალდება სავსებით გაბათილდა, სასამართლომ ბრალდებულთა შორის ხუთს მიუსაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით — 3-დან 14 წლამდე. ამ ხუთ კაცს წინათ მისჯილი ჰქონდა სიკვდილი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 6 თებერვალს გადასცა ცნობა:

დასავლეთ ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად კვლავ ურტყამენ კონტრშეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ფრონტებზე გრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები.

ჰარი პოლიტის გამოსვლა

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა ნოტინჰემში ხალხ-...

...რის მიზნით, რომლებიც ინგლისელი ხალხის წინაშე დაისახა ომისათვის მზადების ინგლის-ამერიკის გეგმების განხორციელების შედეგად.

პოლიტმა განაცხადა, რომ საპაექროდ იწვევს ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების ლიდერებს. „ახლა მე ვიწვევ ეტლის, ჩერჩილსა და კლემენტ დევისს (ინგლისის ლიბერალური პარტიის ლიდერი.—რედ.),—თქვა პოლიტმა.—დაე მათ წამოაყენონ პოლიტიკა, რომელიც, ჯერ-ერთი, უზრუნველყოფს საკმაო ხელფასსა და სამუშაოს ინგლისის მუშებისათვის; მეორე, უზრუნველყოფს მოსახლეობის უფრო ფართო და უფრო სრულ სოციალურ მომსახურებას; მესამე, უზრუნველყოფს ნამდვილ ეროვნულ დამოუკიდებლობას ამერიკელი ბანკირებისა და მრეწველებისადმი მონური მორჩილების ნაცვლად და, მეოთხე, მტკიცე მშვიდობის გარანტიას მისცემს ინგლისელ ხალხს... მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ეს, ჩვენ კი შეგვიძლია". ამ სიტყვებს დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ჩინელი ექიმები იყენებენ საბჭოთა მეცნიერის მეთოდს

შანხაი, 6 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „სინვენჟიბაომ" გამოაქვეყნა ხუან პინის სტატია იმის შესახებ, რომ ჩინელი ექიმები წარმატებით იყენებენ საბჭოთა მეცნიერის ფილატოვის მეთოდს მძიმედ დაავადებულთა მკურნალობისას.

მაშინ, როდესაც ომის გამჩაღებლები, ნათქვამია სტატიაში, მეცნიერების მიღწევათა ნაყოფს იყენებენ მკვლელობის იარაღთა წარმოებისათვის და მოზრდილთა და ბავშვთა სიცოცხლეს ემუქრებიან მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის მეცნიერები თავიანთ შრომასა და ცოდნას ახმარენ ადამიანთა ჯანმრთელობისა და ქვეყნის კეთილდღეობის დაცვის საქმეს. მათ ახალი ფურცელი გადაშალეს მედიცინის ისტორიაში, მიაღწიეს რა შესანიშნავ შედეგებს ცდებისა და გულმოდგინე მუშაობის საშუალებით.

ჩინეთის მედიცინის მუშაკები ცდილობენ ისწავლონ საბჭოთა მეცნიერთაგან.

მთელ ჩინეთში და განსაკუთრებით შანხაიში ...

ვეროპი საბერძნეთში

...

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს მესამე სესია

ბერლინი, 6 თებერვალი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიის სხდომაზე ჯესი სტრიტმა (ავსტრალია) განაცხადა, რომ ავსტრალიელ ქალებსა და მთელ ხალხს სურთ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ყველა ქვეყნის ხალხებთან. ისინი ილაშქრებენ იაპონიისა და გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. ისინი ილაშქრებენ ავსტრალიის თუ რომელიმე სხვა ქვეყნის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. მათ სურთ, რომ ავსტრალიის ფული და სხვა ქვეყნების ფული იხარჯებოდეს იმაზე, რომ გაფართოვდეს მსოფლიო რესურსების გამოყენება, რომ ყველა ქვეყნის ყველა ხალხს შეეძლოს უკეთ იცხოვროს, ჰქონდეს მეტი სკოლები, საცხოვრებელი სახლები და საავადმყოფოები. ავსტრალიელ ხალხს არა სურს, რომ მისი ქვეყნის სიმდიდრე იხარჯებოდეს იარაღზე, სამხედრო გემებსა და ბომბდამშენებზე გითომდა მტრის — კომუნიზმის ან საბჭოთა კავშირის „აგრესიის" წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ყველა ადამიანის ...

...სხვა ქვეყნებში. ლაპარაკი „კომუნისტური შეთქმულების" შესახებ კაპიტალისტების შეგნებული ჭორია, რათა შეშფოთება გამოიწვიონ ხალხთა შორის და მიაღწიონ მათს თანხმობას, რომ გადასახადებით მიღებული სახსრები იხარჯებოდეს შეიარაღებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ეს ფული ხმარდებოდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ხელფასის გადიდებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

შეიძლება დააშინო მხოლოდ გონებაშეზღუდული ადამიანები. ჩვენ, ქალთა მოძრაობის წარმომადგენლებმა, უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და სიმართლე ვუთხრათ საზოგადოებრიობას. ჩვენ უნდა განვუმარტოთ ხალხს, რომ კაპიტალისტები სარგებელს იღებენ ყოველი ტყვიიდან, ყოველი ზარბაზნიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ბომბდამშენებსა და ტანკებზე, რომლებიც იყიდება, და რომ ამავე დროს მათთვის სასარგებლო არ არის ააგონ სახლები მუშებისათვის, ააგონ საავადმყოფოები, სკოლები ან განახორციელონ სოციალური ღონისძიებანი.

კაპიტალისტები უტევენ ხალხებს ყველა მხრიდან. უკანასკნელი შეტევა მოახდინა საფრანგეთის მთავრობამ, რომელმაც აკრძალა ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოების ყოფნა საფრანგეთში.

ჯესი სტრიტმა წინადადებით მიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს წევრებს მიიღონ შემდეგი საპროტესტო რეზოლუცია საფრანგეთის მთავრობის მიერ საფრანგეთში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობის აკრძალვის წინააღმდეგ:

„ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს ბერლინში შემდგარი მესამე სესია მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს შემდეგი განცხადებით:

1951 წლის იანვარში საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობა საფრანგეთში. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია ენერგიულ პროტესტს აცხადებს ამ აკრძალვის წინააღმდეგ და გთხოვთ ...

ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად, და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ბ) ეკონომიური, სოციალური და კულტურული საკითხებისათვის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისა და სხვა იმ საკითხებისათვის, რომლებიც ეხება ქალებსა და ბავშვებს;

გ) ქალთა თანასწორი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური უფლებების მიღწევისათვის;

დ) ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპის პატივისცემაზე დამყარებული მშვიდობასმოყვარული ურთიერთობის გამოცხადებისათვის.

4. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია თანმიმდევრულად და დაუღალავად იცავს ამ მიზნების განხორციელებას. ეს უფლებას აძლევს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიას პროტესტი განაცხადოს საფრანგეთის მთავრობის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და ...

...

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და განსაკუთრებით კი იმ პრინციპების შესაბამისი ინტერესებისა და საქმიანობისათვის, რომლებიც მოუწოდებენ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისაკენ, აცხადებენ ადამიანის პატივისცემის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს ...

დედაქალაქის ქრონიკა

⊙ **ართვინის ქუჩაზე № 3 გაიხსნა ჯანმრთელობის** ახალი საავადმყოფო 75 საწოლით. საავადმყოფოს აქვს რენტგენის კაბინეტი, კლინიკურ-დიაგნოსტური ლაბორატორია და სხვა საჭირო მოწყობილობა.

⊙ **თბილისის საექსკურსიო ბაზა** წელს ექსკურსიებს მოაწყობს ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მუზეუმების დასათვალიერებლად. ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, აგარის შაქრის ქარხანაში, სამგორში.

⊙ **ახლახან მოხდა** ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის სასპორტო-საავიაციო კურსების მსმენელთა გამოშვება. კურსდამთავრებულებმა, რომლებიც წარმოებისა და სასწავლებლებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდნენ, სასპორტო-საავიაციო საქმის ყველა სახეობაში მაღალი შეფასება მიიღეს.

⊙ **საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს** დიდაქტიკურმა წარმოებამ გამოსცა ა. ფურცხვანიძის მიერ შედგენილი „1951 წლის ასტრონომიული ტაბელ-კალენდარი". ტაბელ-კალენდარში მოთავსებულია საინტერესო ცნობები მთვარისა და მზის დაბნელების შესახებ, განხილულია მთვარის ფაზები, პლანეტების მოძრაობა წლის სხვადასხვა დროში.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

დღეს, 8 თებერვალს, თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში იწყება საქართველოს 1951 წლის საჭადრაკო პირველობის გათამაშება, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი.

ტურნირში მონაწილეობენ რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკეები: საქართველოს 1950 წლის ჩემპიონი ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაღიძე, ოსტატობის კანდიდატები მ. შიშოვი, ნ. სოროყინი, ვ. ქარსელაძე, თ. გიორგაძე, ა. ბუსლაევი და ვ. ალამალიანი; პირველთანრიგოსნები ბ. გურგენიძე, გ. გამრეკელი, შ. ინწკირველი, ი. ლოლუა, ა. ლექავა, დ. ჩირაძე და სხვები.

ტურნირის მთავარი მსაჯია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ოსტატობის კანდიდატი ა. ფალავანდიშვილი.

„სადგურის უფროსი" ბორჯომის კულტურის სახლის სცენაზე

ბორჯომი. (საქ. კორ.). ამასწინათ ბორჯომის ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ცნობილი ქართველი დრამატურგის ი. მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსი".

სპექტაკლი დადგა დ. ხმალაძემ, მხატვრობა ეკუთვნის ო. ხუციშვილს, მუსიკა დაწერა ი. მირსკიმ.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ ს. ცერცვაძე, თ. ჩერქეზიშვილი, ვ. ალელიშვილი, ო. მახარაშვილი და სხვები.

ახალი წიგნი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის **ი. ანჯაფარიძის** მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი **„აკად. ვ. რ. ვილიამსის მოძღვრება მიწათმოქმედების ნათეს-ბალახიანი სისტემის შესახებ"**. ფასი 5 მან.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

8 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შედგება სამინისტროების პირველადი პარტორგანიზაციების შტატგარეშე კონსულტანტების სემინარი.

სემინარს უხელმძღვანელებენ დოცენტი **ი. მირცხულავა** და დოცენტი **ი. მაილიანი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით)

9 თებერვალს

6.45 — კონცერტი. 8.30 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 10.30 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე: ნაწყვეტი დ. კლდიაშვილის მოთხრობიდან: „ბაკულას ღორები". 17.15—სომხური და აზერბაიჯანული სიმღერები. 18.00—გადაცემა მოსწავლეთათვის: პუშკინი. 18.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი: „კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობა იცავს სამშობლოს". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — გლინკას და დარგომიჟსკის რომანსები. 20.45— ქართული ხალხური სიმღერები. 21.10 — საუბარი: კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა. რადიოინსცენირება აკაკი წერეთლის მოთხრობისა: „ბაში-აჩუკი". 23.00 — საოპერო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „სინათლე" (მე-12 აბ. ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ჩვენი პირადი საქმე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „აზნაურთა ბუდე" (მე-12 აბ.); **სომხური დრამის** — „საიათ-ნოვა"; **მუსიკალური კომედიის** — „სიმღერა სიყვარულზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მირანგულა" (58-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „თალგამი" (92, 108, 110 აბ. დილის 10 საათზე); „სამი მუშკეტიორი" (47-ე აბ. საღამოს 6 საათზე); **ხანკულტურის** „ორი ბედნიერება"; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ... ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სატყეო ...
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტყის ...
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სატყეო მუშაობათა მექანიზაციაში, 0,5 საშტატო ერთეული.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე. ... კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ დოკუმენტები, ... დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადაა 15 დღე კონკურსის გამოცხადებიდან. ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 68.

ვ. ასათიანი, ა. ხაზარაძე, გ. აბესაძე, ვ. კანდელაკი, ი. შაფათავა, ნ. მგალობლიშვილი, რ. ადამიძე, ლ. სუქიასოვი, ტ. მამაცევი, კ. ამირაგოვი, ა. მაღრაძე, ვ. პაიტიანი იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე ჯინჭარაძის** გარდაცვალებას.

და აგრაფინა, დასწულები დოსია, ტუზა, ლარისა, ნინო, რძლები ელენე, ნადია ლანდიები ოჯახებით, რძალი ლიზა, ძმისწული თამარ, ძმები ვიქტორ, პლატონ ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან **დაფია ხიმონის ასულ ლანდიას** გარდაცვალებას.

თოთლაძე, ხოდელი, ფუხაშვილი, ფრუიძე, ხოსიტაშვილი, ხაჩიძე, ჩოჩიშვილი, ცხადაია, ზალინოვა, აშორდია, ტიტვინიძე, ფხაკიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ იოსებ და ნინო ანდრიაშვილებს **დარო აბოიშვილის** გარდაცვალების გამო.

ს. გომართელი, ნ. ბაქრაძე, შ. ქორქია, ქ. დვალი, ნ. ყაზახაშვილი, მ. ლასურაშვილი, გ. ხურციძე, ლ. ასტაფიევა, ა. მიზანდარი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ქიტოშვილს მისი დედის **მარიამ ივანეს ასულ ქიტოშვილის** გარდაცვალების გამო.

მ. საავაშვილი, მ. თოფურია, თ. ჯაოშვილი, ა. იოსავა, ვ. ონიანი, პ. ბუაჩიძე, მ. გამეზარდიძე, ნ. დამენიანი, ვ. ხუხია, მ. მაქაძე, თ. ფხაკაძე, ე. ბრეგვაძე, ა. ართილაყვა თანაგრძნობას უცხადებენ ნინო შეროზიას მისი მამამთილის **ნესტორ შეროზიას** გარდაცვალების გამო.

ი. ართმელაძე, გ. ჯომარჯიძე, ე. თავაძე, გ. კაკაბაძე, დ. თოთიბაძე, მ. სალნიკერი, გ. მღებრიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ა. ნიჟარაძეს მისი მამის **ნიკიფორე გაიოზის-ძე ნიჟარაძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ევგენია და ვლადიმერ, შვილი ...

... თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ლანდიას მისი დედის **დაფიას** გარდაცვალების გამო.

ტ. აბაკელია, მ. გაბუნია, ე. ბეჟაია, ნ. ბოლქვაძე, მ. ბაქანიძე, თ. ძამაშვილი, ია ბურდული, ქ. გოგიჩაძე, ა. იმნაძე, ს. ზურაბიშვილი, ნ. კაპარავა თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ვირსალაძეს მისი დედის **ნინო დავითის ასულ მამრაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგესა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00227